10. ქვემოთ ჩამოთვლილია მოქმედი ნორმები და წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშენებლო ორგანიზაციამ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს:
  - სნ და წ III-15-76;
  - სნ და წ III-17-78 „ქვის კონსტრუქციები“;

- სნ და № III-18-79 „ლითონის კონსტრუქციები“;
- სნ და № III-19-81 „ხის კონსტრუქციები“;
- სნ და № III-20-74 „ბურულები ჰიდროიზოლაცია, ორთქლიზაცია და თბოიზოლაცია“;
- სნ და № III-21-79 „სამშენებლო კონსტრუქციების მოსაპირკეთებელი სამუშაოები“;
- სნ და № III-3-14-78 „იატაკები“;
- სნ და № 3.04.03-85 „კოროზისაგან დაცვა“;
- სნ და № III-28-79 „შენობებისა და ნაგებობების სანიტარულ-ტექნიკური მოწყობა“;
- სნ და № III-29-79 „გაზით მომარაგება, შიდა მოწყობილობა, გარე ქსელები და ნაგებობები“;
- სნ და № III-30-79 „წყალმომარაგება კანალიზაცია და თბომომარაგება, გარე ქსელები და ნაგებობები“;
- სნ და № III-33-79 „ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები“;
- სნ და № III-10-78 „ტერიტორიის კეთილმოწყობა“;
- სნ და № III-4-80 „უსაფრთხოების ტექნიკა“;

– საქართველოს მთავრობის 2007 წლის 28 მარტის „მშენებლობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ №62 დადგენილება;

– „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების XIX და XXI თავები;

– სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების დროს;

– სნ და № 1.06.05-85 „მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობა“;

მშენებლობა ხორციელდება საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.

დახურული სამუშაოების მიღება უნდა მოხდეს კანონმდებლობის შესაბამისად.

სამშენებლო მოედანზე უნდა დაინიშნოს პასუხისმგებელი ინჟინერი, რომელიც პასუხს აგებს უსაფრთხოების წესების დაცვისათვის.

მუშებსა და ინჟინერტექნიკურ პერსონალს სამშენებლო მოედანზე ყოფნისას უნდა ეხმარებოდნენ ჩაფხუტები, ხოლო სპეციალური სამუშაოები უნდა შესრულდეს სათანადო აღჭურვილობის გამოყენებით.

### **III. საინჟინრო მომზადება და მშენებლობის წარმოების ცალკეული ეტაპები**

1. წინამდებარე მოპო-ი ითვალისწინებს სნ და № 3.01.01-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“ მოთხოვნილებებს მშენებლობაზე ხანძარსაწინააღმდეგო და მშენებლობის უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვით.

2. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- პროექტით მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტილებები;
- მშენებლობის გენგეგმა;

3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარზე და უსაფრთხოების) შესაბამისად.



4. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მშენებელმა ორგანიზაციამ უნდა შეადგინოს შრომის ორგანიზაციის პროექტი. მშენებლობის ორგანიზაცია და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

5. ყველაზე საპასუხისმგებლო და შრომატევადი სამუშაოების - არმირებისა და დაბეტონების პროცესის წარმართვა უნდა მოხდეს თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით.

ბეტონის სამუშაოების შესრულებისას ქარგლები უნდა იყოს ინვენტარულ-გადასაადგილებელი, ადვილად დასაშლელი, ხოლო ბეტონის მიწოდებისათვის უნდა გამოვიყენოთ მიქსერები და ბეტონდამჭიხნი დანადგარები ბეტონის მიღსადენებით მიწოდებით. სამუშაოები უნდა შესრულდეს სნ და № III-15-80-ით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით.

6. სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის წარმართვა ცხრილში ჩამონათვალი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით. მშენებლობის მომარაგება მასალებითა და ნაკეთობებით ორიენტირებულია ბაზარზე.

ობიექტის მშენებლობის განხორციელების ძირითადი რიგის სამუშაოები იყოფა შემდეგ ეტაპებად:

#### 1. სარეკონსტრუქციო ობიექტი

„ა“ და „ბ“ ბლოკებისთვის

- შენობების ძირითადი კონსტრუქციული სისტემა;
- შენობის ქანობიანი სახურავის მოწყობა;
- არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;
- შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი და კეთილმოწყობის სამუშაოები.

#### 2. ახალი საწყობების მშენებლობა

„ა“ და „ბ“ ბლოკებად:

- მოსამზადებელი და მიწის სამუშაოები;
- შენობების ძირითადი კონსტრუქციული სისტემა;
- შენობის ქანობიანი სახურავის მოწყობა;
- არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;
- შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი და კეთილმოწყობის სამუშაოები.

### მოპ-ის შედგენისათვის ნორმატიული ბაზა

1. სნ და № 3.01-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“.

2. სნ და № 1.04.03-85 „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“.

3. კრებული-სამახსოვრო „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები“ ამონაკრები მოქმედი სამშენებლო ნორმებიდან და წესებიდან, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა, თბილისი, 1987 წ. ქართულ ენაზე.

4. სნ. და № III-4-80 „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე“.

რეკომენდებულია გამოყენებული იქნას შემდეგი მანქანა-მექანიზმები:



N	დასახელება	მარკა	რაოდენობა
1	სიღრმითი ვიბრატორი	ს-3697	3
2	ზედაპირული ვიბრატორი	ს-697	3
3	არმატურის მოსაღუნი დაზგა	–	3
4	ავტობეტონმრევი მიქსერი	მბ-5	2
5	ბეტონმრევი ტუმბო		2

საჭიროების მიხედვით შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა მანქანა-იარაღებიც.

#### IV. შენობების კლასის დადგენა

არქიტექტურულ-მოცულობითი და კონსტრუქციული გადაწყვეტის მიხედვით სარეკონსტრუქციო ობიექტის თითოეული ბლოკი ცალ-ცალკე მიეკუთვნება **IV კლასს**, რისკის მაღალი ფაქტორით, ხოლო ახალი ობიექტის, ასევე, ორი ბლოკიდან თითოეული მიეკუთვნება **III კლასს**, რისკის საშუალო ფაქტორით.

#### V. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა

მშენებლობის ხანგრძლივობის დასადგენად ვსარგებლობთ სნ და წ 1.04.03-85 „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“ და დამკვეთის მოთხოვნების გათვალისწინებით ვადგენთ მშენებლობის ნორმატიულ ხანგრძლივობას, რომელშიც გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ თითოეული ობიექტის დამოუკიდებელი ბლოკების მშენებლობა შეიძლება წარიმართოს პარალელურ რეჟიმში, ერთდროულად. კერძოდ:

- ა) სარეკონსტრუქციო ობიექტის „ა“ და „ბ“ ბლოკისათვის - 12 თვეს;
- ბ) ახალი ობიექტის „ა“ და „ბ“ ბლოკისათვის - 9 თვეს;

#### VI. მშენებლობის წარმართვის ტექნოლოგიური ნორმალი

##### ა) სარეკონსტრუქციო ობიექტისთვის

- 15 დღე – მოსამზადებელი სამუშაოები;
- 15 დღე – მიწის სამუშაოები;
- 4 თვე – ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა;
- 1 თვე – შენობის ქანობიანი სახურავის მოწყობა;
- 4 თვე – არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;
- 2 თვე – მოსაპირკეთებელი სამუშაოები და კეთილმოწყობა.

##### ბ) ახალი სამშენებლო ობიექტისთვის

- 15 დღე – მოსამზადებელი სამუშაოები;
- 15 დღე – მიწის სამუშაოები;
- 3. თვე – ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა;
- 2 თვე – შენობის ქანობიანი სახურავის მოწყობა;
- 2 თვე – არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;
- 1 თვე – მოსაპირკეთებელი სამუშაოები და კეთილმოწყობა

## **VII. სამშენებლო მოედანი**

სამშენებლო მიწის ნაკვეთის ზომები და ადგილმდებარეობა პროექტის შედგენის მომენტისათვის საშუალებას იძლევა დასაწვობდეს საჭირო რაოდენობის სამშენებლო მასალები. თუმცა მშენებლობის დაწყებისას სამუშაოს მწარმოებელმა უნდა განსაზღვროს სამშენებლო მასალების ის სახეობები და რაოდენობა, რომელიც საჭიროა მშენებლობის წარმოების უწყვეტი ციკლისათვის.

## **VIII. მასალების ტრანსპორტირება**

სასაქონლო ბეტონი მიწოდება ობიექტზე უნდა მოხდეს ბეტონის მოსამზადებელი კვანძიდან სპეციალური ბეტონმრეკებით (მიქსერებით).

სხვა მასალების (არმატურის ნაკეთობები, ცემენტი, ქვიშა, ღორღი, ხე-ტყე და სხვა) მიწოდება განხორციელებული უნდა იქნას შესაბამისი ავტოტრანსპორტით.

მასალების ტრანსპორტირებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვა სამუშაოებისას დაცული უნდა იქნას შესაბამისი უსაფრთხოების წესები და მოთხოვნები.

## **IX. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები**

გამოსაჩენ ადგილას გამოკრული უნდა იქნას სახანძრო უსაფრთხოების წესების ინსტრუქცია სახანძრო სამსახურების სატელეფონო ნომრების მითითებით. უნდა არსებობდეს სახანძრო დაფა თავისი ინვენტარით.

ობიექტზე დაცული უნდა იქნეს მასალების შენახვის ხანძარსაწინააღმდეგო წესები.

## **X. მითითებანი საერთო უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე**

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე თანახმად სნ და № 111—4-80 „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“ და სხვა ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე.

1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

2. ადგილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს ამავე დღიურ საჭიროებას.

3. მასალებისა და ნაკეთობების დაწობა უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით. ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოწესრიგებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

4. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახ. სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

5. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოთა შესრულების შემდეგ ვიბრატორი სუფთავდება და მშრალად იწმინდება.
6. სამშენებლო მოწყობილობათა ჩართვა (საწვევლები, პარკეტისა და მოზაიკის საპრიალებელ-მოსახვეწი დანადგარები, ელექტროშემადგენელი აპარატები და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია. ტექნადამხედველობის სამსახურებთან შეთანხმებით ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.
7. დაუშვებელია სახურავზე საჭიროზე მეტი სამშენებლო მასალების ატანა, რათა ქარისა და სხვა შემთხვევითი მოვლენის გამო არ მოხდეს მათი ძირს და ახლომდებარე ტერიტორიებზე ცვენა.
8. სამშენებლო ობიექტზე რამდენიმე ორგანიზაციის ერთდროულად მუშაობისას, შრომის უსაფრთხოების საკითხი განხილული უნდა იქნეს ერთდროულად შეთანხმდეს გენერალურ მოიჯარადესთან.
9. მუშაობისა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს უნდა ჰქონდეს სპეცტანსაცმელი, სპეცფეხსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებები.
10. სამშენებლო ობიექტზე მყოფი ყველა პიროვნება ვალდებულია ეხუროს დამცავი ჩაფხუტი. ჩაფხუტისა და სხვა დამცავი საშუალებების გარეშე მუშები და ინჟინერ-ტექნიკის პერსონალი სამუშაოზე არ დაიშვებიან.
11. სამშენებლო ობიექტზე მომუშავე მუშები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობებით.
12. მშენებლობის ყველა ობიექტზე გამოყოფილი უნდა იყოს ადგილი ან სათავსი სამედიცინო აფთიაქის და სხვა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენი საშუალებების განსათავსებლად.
13. სამშენებლო მოედანზე მომუშავე ყველა პიროვნება უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასმელი წყლით.
14. სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ყველა მუშაკმა დაიცვას შინაგანაწესით განსაზღვრული შრომის დაცვის მოთხოვნები. უცხო და არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ პირთა დაშვება სამშენებლო მოედანზე აკრძალულია.
15. ამინდის უეცარი ცვლილების დროს (ქარბუქი, ქარიშხალი, დიდთოვლიანობა და სხვა) სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია შეწყვიტოს სამშენებლო პროცესების წარმოება.
16. პოლიმერული მასალებისა და ნაკეთობების გამოყენებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ მათი პასპორტით, ტარაზე არსებული ნიშნებითა და წარწერებით.

## **XI მითითებანი უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას**

1. სამშენებლო უბანზე აკრძალულია ერთდროულად სამონტაჟო და სხვა სამუშაოების ჩატარება. აკრძალულია აგრეთვე უცხო პირთა ყოფნა.

2. სამონტაჟო სამუშაოების შესრულების დაწყებამდე საჭიროა მონტაჟის წარმოების ხელმძღვანელსა და მემანქნეს შორის პირობით სიგნალის მიწოდება ერთი პირის მიერ (სამონტაჟო ბრიგადის ბრიგადირის, მეტაკელუის, მერგორულის, ჩამბმელის). სიგნალის სდექ მიცემა შეუძლია ნებისმიერ პიროვნებას, რომელიც შეამჩნევს საშიშროებას.
3. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა სრულდება რთული სამონტაჟო სამუშაოები (კონსტრუქციის ან დანადგარების აწევა ორი ამწითი, ჰაერში შემობრუნებით და სხვ.) სიგნალს იძლევა მხოლოდ სამონტაჟო ბრიგადის ბრიგადირი, უსაფრთხოების ტექნიკის დაცვისათვის პასუხისმგებელი საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის თანდასწრებით.
4. სამონტაჟო ციკლი შეიცავ თანმიმდევრულად შესასრულებელ პროცესებს: ჩაბმა, აწევა, დაყენება, გასწორება, დროებით დამაგრება, მუდმივი დამაგრება.
5. ასაწობი სამშენებლო კონსტრუქციის აწევა დასაშვებია მხოლოდ გვარლზე მიმაგრებული მარყუჟის ან ტრავერსის ჩაბმით. ამწის მემანქნესა და მემონტაჟეს შორის უნდა არსებობდეს დისტანციური კავშირი.
6. სამონტაჟო კონსტრუქციების ან დანადგარების ელემენტების გადაადგილების დროს, დამაგრებული უნდა იყვნენ მოქნილი ჭიმებით, რათა არ მოხდეს მათი შემობრუნება და ქანაობა.
7. მუშების ყოფნა კონსტრუქციისა და დანადგარის ელემენტებზე, მათი გადაადგილების დროს სასტიკად აკრძალულია.
8. ასაწობი კონსტრუქციების მონტაჟი მიმდინარეობს იარუსების მიხედვით.
9. შენობა-ნაგებობების ყველა მომდევნო იარუსის (უბნის) კონსტრუქციების მონტაჟი უნდა განხორციელდეს წინა იარუსის (უბნის) ყველა ელემენტის პროექტით გათვალისწინებული დამაგრების შემდეგ.
10. ზედა იარუსზე სამუშაოს მიმდინარეობის დროს მის ქვეშ მდებარე იარუსებზე სამშენებლო სამუშაოების წარმოება დასაშვებია, თუ სართულშუა გადახურვის სამუშაოები დასრულებულია.
11. სამუშაოები უნდა მიმდინარეობდეს ოსტატის ან სამუშაოთა მწარმოებლის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ.
12. კონსტრუქციის საბოლოო დამაგრებამდე საჭიროა შესრულდეს დროებითი დამაგრება. დამაგრების მჭიმის ბოლოები საიმედოთ უნდა იყოს ჩამაგრებული და არ უნდა ეხებოდეს სხვა ელემენტებს.
13. სამონტაჟო კონსტრუქციების დროებითი დამაგრებისას მჭიმები მიმაგრებული უნდა იყოს საიმედო საყრდენთან (საძირკველი, ღუზა და სხვ.) ჭიმების რაოდენობა, მათი მასალების პროექტით.
14. საპროექტო მდგომარეობაში დაყენებული კონსტრუქცია ისე უნდა იყოს დამაგრებული, რომ უზრუნველყოს მათი მდგომარეობა და გეომეტრიული უცვლელობა.
15. საპროექტო მდგომარეობაში დაყენებული კონსტრუქციების და დანადგარების ელემენტების ჩახსნა უნდა განხორციელდეს მათი დროებით ან მუდმივად საიმედო დამაგრების შემდეგ.
16. მემონტაჟეების გადასასვლელად ერთი კონსტრუქციიდან მეორეზე, გამოყენებული უნდა იქნეს ინვენტარული კიბეები, შემოდოლების მქონე გასასვლელები ბოგირები (ხიდები) და ტრაპები. დამონტაჟებულ კონსტრუქციებსა და მათ ელემენტებზე მოძრაობა დაუშვებელია სპეციალური დამცავი მოწყობილობების გარეშე.

17. დაუშვებელია სამონტაჟო სამუშაოების შესრულება სიმაღლეზე ღია ადგილებში ქარის 15მ/წმ და მეტი სიჩქარის, ჭექა-ქუხილის და ნისლის დროს, როცა სამუშაო ფრონტის ფარგლებში მხედველობა შეზღუდულია. დიდი იაღქნის მქონე პანელების და მისი მაგვარი კონსტრუქციების გადაადგილება და მონტაჟი 10მ/წმ და მეტი სიჩქარის ქარის დროს, უნდა შეწყდეს.
18. დაუშვებელია შესვენების დროს კონსტრუქციის ელემენტების და დანადგარების დატოვება შეკიდულ მდგომარეობაში.
19. თუ მომუშავეთა ყოფნა კონსტრუქციების და დანადგარების ქვეშ მათი დაყენების დროს აუცილებელია, მაშინ მიღებული უნდა იყოს სპეციალური ღონისძიებები, მომუშავეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფათ.
20. შეკიდული სამონტაჟო ბაქნები, კიბეები და სხვა მოწყობილობები და სამარჯვები საჭიროა დაიდგას და დამაგრდეს დასამონტაჟებელ კონსტრუქციებზე, მათ სიმაღლეზე აწევამდე.
21. მოქმედ საწარმოს პირობებში სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას ექსპლუატაციაში მყოფი ელექტროქსელი და სხვა მოქმედი საინჟინრო სისტემები განლაგებული სამუშაო ზონაში, როგორც წესი, გამორთული უნდა იყოს.
22. 5 მ-ზე მეტი სიმაღლის და ამწეს კაბინაში ასასვლელი ლითონის შემოფარგლული კავშირების მქონე ლითონის რკალით და საიმედოდ იყოს დამაგრებული კონსტრუქციასთან ან ამწის ტანთან.
23. შენობისა და ნაგებობების კონსტრუქციების მონტაჟისას მემონტაჟეები უნდა იმყოფებოდნენ ადრე დაყენებულ და საიმედოდ დამაგრებულ კონსტრუქციებზე ან მოხარჩოების საშუალებებზე.
24. შენობის (ნაგებობების) კიბის მარშების, ბაქნების, სატვირთო და ხალხის გადასაყვანი სამონტაჟო ამწეების მონტაჟი უნდა განხორციელდეს შენობის კონსტრუქციების მონტაჟთა ერთად. დამონტაჟებული კიბის მარშზე მაშინვე უნდა დაყენდეს შემოღობვა.
25. ცალკეული ცარგებისგან შედგენილი ჰორიზონტალური ცილინდრული ჭურჭლის აწყოებისას გამოყენებული უნდა იყოს სოლისებრ სადებები და სხვა მოწყობილობები, რომლებიც გამორიცხავენ ცარგას თვითნებურ დახვევას.
26. ფეთქებად საშიშ გარემოში დანადგარების დამონტაჟებისას გამოყენებული უნდა იყოს ინსტრუმენტი, რომელიც გამორიცხავს ნაპერწკლის წარმოქმნას.
27. დანადგარების მონტაჟისას გამორიცხული უნდა იყოს მის შემთხვევაში ან თვითნებური ჩართვა.
28. კონსტრუქციების ან დანადგარების რამდენიმე ამწით ან გამწვი მექანიზმით გადაადგილებისათვის, გამორიცხული უნდა იყოს რომელიმე მათგანის გადატვირთვა.
29. კონსტრუქციების და დანადგარების გადაადგილებისას მათ შორის და ჰორიზონტალური მიმართულების გამოშვერილ ნაწილებს შორის მანძილი უნდა იყოს არანაკლებ 1მ-ისა, ვერტიკალური მიმართულების 0,5 მ.
30. დომკრატის გამოყენებით მონტაჟისას მიღებული უნდა იყოს დომკრატის გადახრის და გადაყირაგების გამომრიცხავი ზომები.
31. კონსტრუქციის (მოწყობილობის) დაშვების დახრილ სიბრტყეზე საჭიროა გამოყენებული იყოს სამუხრუჭე საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს დაშვების სიჩქარის რეგულირებას.

32. მილსადენების და ჰაერსადენი მიღების მონტაჟი ელექტრო გადამცემი ხაზის სიახლოვეს, უნდა წარმოებდეს მოხსნილი ძაბვის დროს, თუ ძაბვის მოხსნის საშუალება არ არსებობს, სამუშაო უნდა შესრულდეს არსებული წესით დამტკიცებული განკარგულება-დაშვება.
33. დამონტაჟებული და მოქმედი დანადგარების მიერთება მოქმედ სისტემასთან (ელექტრულ, ორთქლის, ტექნოლოგიური და სხვა.) გენერალური მოიჯარის დამკვეთის წერილობითი ნებართვის გარეშე დაუშვებელია.
34. კონსტრუქციების დაშლა ან დანადგარების დემონტაჟი ერთდროულად ერთ ვერტიკალზე მდებარე ორ და მეტ იარუსზე დაუშვებელია.
35. სამონტაჟო სამუშაოების წარმოების ექსპლუატაციაში მყოფი ელექტროქსელი უნდა გამოირთოს. მილსადენები დაიცალოს ფეთქებადსაშიში და მავნე ნივთიერებებისაგან.
36. დასამონტაჟებელი კონსტრუქციების და დანადგარების გამსხვილებითი აწყობა, მიღების მოღუნვა, პირაპირების შესწორება უნდა წარმოებდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.
37. კონსტრუქციების დაშლა ან დანადგარების დემონტაჟი ერთდროულად ერთ ვერტიკალზე მდებარე ორ და მეტ იარუსზე დაუშვებელია.

შეადგინა:

ზ.დევაძე



ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირის №302-ში არსებული საფეხობის  
ორი - „ა“ და „ბ“ ბლოკის რეკონსტრუქციის კალენდარული გრაფიკი

	სამუშაოთა დასახელება	თვეების რიგითობა																																																																				
		დღეების რაოდენობა	I თვე				II თვე				IIIთვე				IV თვე				V თვე				VI თვე				VII თვე				VIII თვე				IX თვე				X თვე				XI თვე				XII თვე																							
			I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ																								
1	მოსაგზადებული სამუშაოები	15																																																																				
2	მიწის სამუშაოები	15																																																																				
3	პირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა	120																																																																				
4	შენობის ძანობიანი სახურავის მოწყობა	30																																																																				
5	არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა	120																																																																				
6	შიბა და გარე მოსაპირკმეთიხელი სამუშაოები და კეთილმოწყობა	60																																																																				

სამუშაოთა ხანგრძლივობა შეადგენს 12 კალენდარულ თვეს.

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირის №302-ში ახალი საფეხობის  
„ა“ და „ბ“ ბლოკის მშენებლობის კალენდარული გრაფიკი

	სამუშაოთა დასახელება	თვეების რიგითობა																							
		დღეების რაოდენობა	I თვე				II-IV თვე				V-VI თვე				VII-VIII თვე				IX თვე						
			I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ			
1	მოსაგზავნადი სამუშაოები	15	<div></div>																						
2	მიწის სამუშაოები	15		<div></div>																					
3	პირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა	90					<div></div>																		
4	შენობის ძანობიანი სახურავის მოწყობა	60									<div></div>														
5	არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა	60														<div></div>									
6	შიბა და გარე მოსაპირკმეთიხელი სამუშაოები და კეთილმოწყობა	30																	<div></div>						

სამუშაოთა ხანგრძლივობა შეადგენს 9 კალენდარულ თვეს.

შენიშვნა: 1. კვირაში იგულისხმება 6 სამუშაო დღე შაბათის ჩათვლით;  
2. მშენებლობისათვის არახელსყარელი პირობების, ან ფორსმაჟორული სიტუაციის დადგომის შემთხვევაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოების დროულად ვერ შესრულება, მენაშენემ გრაფიკით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე უნდა აცნობოს ნებართვის გამცემ ორგანოს, შეადგინოს დარჩენილი სამუშაოების გონივრულ ვადაში დასრულების კალენდარული გრაფიკი და მოითხოვოს ნებართვის გაგრძელება;

შემსრულებელი:

ზ.დეკაძე



## განმარტებითი ბარათი

### არქიტექტურული ნაწილი:

წინამდებარე პროექტის არქიტექტურული ნაწილები დამუშავებულია დაგეგმვის – შ.პ.ს. „ბათუმის სახელმწიფო კომპანია“ მომართვის საფუძველზე. პროექტით გათვალისწინებულია ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირის №302-ში ორი ობიექტის:

1. არსებული საფეხვის ორი „ა“ და „ბ“ ბლოკის რეკონსტრუქცია;
2. ახალი საფეხვის „ა“ და „ბ“ ბლოკის შენობა

სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 65334 კვ.მ.

ვინაიდან სამშენებლო მიწის ნაკვეთი მდებარეობს სამრეწველო ზონა 1 (სამრ-1) განაშენიანების კონსტრუქციები აღნიშნული ზონისათვის არ არის დადგენილი.

#### ა) სარეკონსტრუქციო ობიექტი:

ობიექტი თავის მხრივ შედგება ორი შენობისაგან – ორი ბლოკისაგან, „ა“ და „ბ“ ბლოკისაგან. თითოეული ბლოკი დაყოფილი იქნება სექციებად. „ა“ ბლოკი შედგება ექვსი, ხოლო „ბ“ ბლოკი – ხუთი სექციისაგან. შენობები ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული, გეგმები მართკუთხა კონფიგურაციისა. თითოეული შენობა აშენებულია სახით არის სამგზოანი, მდებარე გათვალისწინებულია ერთ-ერთი მაღის გაყოფა ორ ნაწილად. შესაბამისად ორივე ბლოკი იქნება ოთხმანოანი.

გამოკვლევით დადგინდა, რომ ობიექტის შენობა აშენებულია წინა საუკუნის 70-იან წლებში და მასში გზადგომდა რკინა-ბეტონის ასაწყობი კონსტრუქციები.

ბლოკებს აქვთ რკინა-ბეტონის სვეტებისა და რიგვლებისაგან შემდგარი მზიდი კარკასები.

ობიექტის დაყოფა განვირგნებულა კონსტრუქციული თვალსაზრისით, მათ შორის არის სადგომო ნაკვეთი, შესაბამისად მათ აქვთ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სასაპირკველი სისტემა, რაც უზრუნველყოფს მათ დამოუკიდებელ მუშაობას, როგორც დეფორმაციებზე, ასევე სეისმური დარტყმების დროს.

პროექტი ითვალისწინებს არსებული სვეტებისა და რიგვლების გამოყენებას რათა მოხდეს მათზე ლითონის ფერმების მონტაჟი.

თითოეული ბლოკიდან სამეზობლო საზღვრებამდე მანძილი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების – ტექნიკური რეგლამენტის – „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ თავი V-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

ორივე ბლოკის სიმაღლე თანაბარია და მათი მაქსიმალური სიმაღლეა 13.70 მ.

„ბ“ ბლოკის „ზ“ - „ა“ ფასადის მხარეს გადის საკადასტრო საზღვარი, ხოლო ორივე ბლოკის დანარჩენი ფასადების მხარეს გადის წითელი ხაზები.

შენობები იქნებიან კარკასული ტიპის. შიგა და გარე კედლები ამოყენდება წვრილი კერამიკის ბლოკებით. ამასთან, გარე კედლები, ნაღებებისაგან დაცვის მიზნით, შეიმოსება პროფილირებული თუნუქით. ქანობიანი სახურავი დაიფარება პროფილირებული თუნუქით. კარები და ფანჯრები გათვალისწინებულია ლითონის, ხოლო იატაკი მოეწყობა ტექნოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების – „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ – XVII თავის 75-ე მუხლის თანახმად თავისი პარამეტრებით ორივე ბლოკი ცალკე-ცალკე განეკუთვნება IV კლასის რისკის მაღალი ფაქტორით, შესაბამისად მოცემული არქიტექტურული პროექტი დამუშავებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების – ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე – შესაბამისად.

პროექტს თან ერთვის სამსკვერტო დასკვნა.





ა) ახალი საფეხრების მშენებლობისათვის:

ახალი საწყობის შენობა თავის მხრივ იყოფა ორი დამოუკიდებელი შენობისაგან - ორი ბლოკისაგან, „ა“ და „ბ“ ბლოკისაგან. ბლოკები ერთმართულიანია, გვგვა მრავალკუთხეა კონფიგურაციისა. ბლოკებს შორის იქნება სადგომო რამდენიმე ნაპირი, შესაბამისად მათ გაუკეთდებათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სასაპირკვეფი სისტემა.

შენიშნებიდან სამეზობლო საზღვრებამდე მანძილი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების - „ტექნიკური რეგლამენტის - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყვანებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ თავი V-ის პრინციპებით შესაბამისად.

ორივე გლოვის მაქსიმალური სიმაღლეა 8.83 მ.

მიწის ნაკვეთი სამი მხრიდან ესაზღვრება საზოგადოებრივ სივრცეს.

„ა“ ბლოკის „შ“ - „ბ“ , „21“-„1“ და „ბ“ ბლოკის „11“-„1“ ფასადების მხარეს გადის საკადასტრო საზღვარი, ხოლო „ბ“ ბლოკის „1“-„21“ და „ბ“ ბლოკის „11“-„11“, „ბ“-„3“ ფასადების მხარეს გადის წითელი ხაზი.

შენიშვნები იქნებიან კარგად აღებული ტიპის, ხოლო შემაჯავებლად გამოყენებული იქნება წვრილი კერამიკის ბლოკები. ქანობიანი სასურავები დაიფარება პროფილირებული თუნუქით. კარები და ფანჯრები გათვალისწინებულია ღითონის, ხოლო იატაკები მოეწყობა ტექნოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად. ფასადები შეიმოსება პროფილირებული თუნუქით.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების – „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ – XVI თავის 71-ე მუხლის თანახმად თავისი კარამეტრებით საწყობის თითოეული ბლოკი განმეოთხდება III კლასის რისკის საშუალო ფაქტორით. შესაბამისად მოცემული არქიტექტურული პროექტი დამუშავებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების - ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ – შესაბამისად.

პროექტს თან ვერთვის არქიტექტურული ნაწილის სამესამართო დასკვნა.

ახალი საწყობის ორივე ბლოკის მოშენების ჯამური ზართია 6490.62 კვ.მ.

სარეკონსტრუქციო შენობებისა და ახალი შენობების ჯამური მოშენების ღირთი მართიანად შეადგენს 16842.01 კვ.მ.

**შემოსრულებები:**

ზ. დუვაძე





## შენიშვნების ტექნიკური მაჩვენებლები

შენიშვნის ტექნიკური მაჩვენებლები შედგენილია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 77-ე მუხლის შესაბამისად.

სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 65334 მ<sup>2</sup>-ს.

პროექტით გათვალისწინებულია ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირის №302-ში ორი ობიექტის მშენებლობა.

### 1) არსებული შენობის რეკონსტრუქცია:

არსებული მთლიანი შენობა თავის მხრივ იყოფა ორ შენობად – ორ ბლოკად.

შენიშვნის მაქსიმალური სიმაღლე ბრუნტიდან კეხამდე შეადგენს – 13.70 მ.

დაპროექტებული შენობების-ბლოკების განაშენიანების ჯამური ფართობია 10351.39 მ<sup>2</sup>.

პირველი სართულის ნულთან ნიშნული შეესაბამება პირობითად აბსოლუტურ 18.00 მ ნიშნულს.

### ტექნიკური მაჩვენებლები:

მთლიანი შენობა შესდგება ორი „ა“ და „ბ“ ბლოკისაგან. ბლოკები დაყოფილია სექციებად: „ა“ ბლოკი ექვსი, ხოლო „ბ“ ბლოკი ხუთი სექციისაგან.

„ა“ ბლოკის სექციების სასარგებლო ფართი:

სექცია №1 – 1162.88 მ<sup>2</sup>;

სექცია №2 – 1142.11 მ<sup>2</sup>;

სექცია №3 – 765.22 მ<sup>2</sup>;

სექცია №4 – 771.75 მ<sup>2</sup>;

სექცია №5 – 760.5 მ<sup>2</sup>;

სექცია №6 – 776.31 მ<sup>2</sup>.

„ბ“ ბლოკის სექციების სასარგებლო ფართი:

სექცია №7 – 749.4 მ<sup>2</sup>;

სექცია №8 – 767.16 მ<sup>2</sup>;

სექცია №9 – 767.36 მ<sup>2</sup>;

სექცია №10 – 1189.91 მ<sup>2</sup>;

სექცია №11 – 1166.53 მ<sup>2</sup>.





„ა“ ბლოკის სასარგებლო ფართობი 5378.77 მ<sup>2</sup>, ხოლო „ბ“ ბლოკის 4640.36 მ<sup>2</sup>, შესაბამისად საერთო სასარგებლო ფართობია 10019.13 მ<sup>2</sup>.

1) ახალი საწყობი:

ობიექტი შედგება ორი „ა“ და „ბ“ ბლოკისაგან.


შენობების მაქსიმალური სიმაღლე ბრუნტიდან კეხამდე არის ერთნაირი და შეადგენს – 8.83 მ.

ჯამური ბანაშენიანების ფართობია 6490.62 მ<sup>2</sup>.


ბლოკების სართულების ნულოვანი ნიშნულები შეესაბამება პირობითად აკსოლიტურ 17.80 მ ნიშნულს.

„ა“ ბლოკის სასარგებლო ფართობი 4449.63 მ<sup>2</sup>, ხოლო „ბ“ ბლოკის 1970.00 მ<sup>2</sup>, შესაბამისად საერთო სასარგებლო ფართობია 6419.63 მ<sup>2</sup>.

შეადგინა:



ზ.დევანიძე





საქართველო

GEORGIA

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო



AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA  
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

№ 01-11/734

“15” თებერვალი 2013 წ.

ც ნ ო ბ ა

ედლევა ინჟინერ-მშენებელს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტს, პროფესორ რევაზ კახიძეს (პირადი ნომერი 61001023025) მასზედ, რომ იგი აკმაყოფილებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 აგვისტოს N 1-1/823 ბრძანებით განსაზღვრულ ექსპერტის მოთხოვნებს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში რეგისტრირებულია პროექტებისა და მშენებლობის ექსპერტად.

ადმინისტრაციული დეპარტამენტის  
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი



რამაზ კახიძე

ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის უფროსი

ნუგზარ ძნელაძე





## საექსპერტო დასკვნა

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №302-ში, შპს „ბათუმის

სახლმშენებელი კომბინატი“-ს არსებული შენობის

ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

ქ. ბათუმი

22 აგვისტო 2018 წ

2018 წლის 16-21 აგვისტოს, დამკვეთის (შპს „ბათუმის სახლმშენებელი კომბინატი“, საიდენტიფიკაციო კოდი: №248385616) მოთხოვნის საფუძველზე, ინჟინერ-კონსტრუქტორ რევაზ კახიძის (პ/ნომერი: 61001023025, საქართველოს დამსახურებული მშენებელი, ექსპერტი, აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ცნობა №01.11/734, 15.02.13) მიერ, შესწავლილი და გამოკვლეული იქნა ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №302-ში (საკადასტრო კოდი: 05.35.28.110), შპს „ბათუმის სახლმშენებელი კომბინატი“-ს არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობა, საერთო მდგრადობის და სიმტკიცის პარამეტრების შეფასებისა და მისი აღდგენა-რეაბილიტაციისათვის ვარგისიანობის დადგენის მიზნით.

წინამდებარე დასკვნა შესრულებულია საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და ურბანიზაციის სამსახურის მიერ გამოცემული „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმიური თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქციისა“ და „შენობა ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევის წესების“ ს6-13-102-2003-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

კვლევითი სამუშაოები განხორციელდა შემდეგი თანმიმდევრობით:

1. შენობის გეომეტრიული პარამეტრების დადგენა და დაზუსტება;
2. შენობის მზიდი ელემენტების ვიზუალურ ტექნიკური გამოკვლევა;
3. კვანძების შერჩევითი გახსნა და შემოწმება;
4. კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება.

საკვლევი შენობა მდებარეობს ქ. ბათუმის სამხრეთ ნაწილში, ხელვანაურის დასახლებაში, ფრ. ხალვაშის გამზირზე, გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მდინარე ჭოროხის მოქმედებით შექმნილი აკუმულაციური ტიპის რელიეფის მქონე ტერიტორიაზე (საერთო ფართი: 65334.0 მ<sup>2</sup>), რომლის გეოლოგიურ აგებულებაშიც მოხაწილებენ მეოთხეული ასაკის ალუვიურ-პროლუვიური



გენეზისის ქვიშოვანი და კენჭნარ-სრეშოვანი გრუნტები, ხოლო კლიმატური თვალსაზრისითი ადგილი მიეკუთვნება საშუალოდ თბილ და ტენიან ზონას ცხელი ზაფხულით, ჭარბი ტენიანობითა და საკმაოდ დიდი რაოდენობის ატმოსფერული ნალექებით წლის ყოველ სეზონში.

სამშენებლო ნორმებისა და წესების („სეისმოპედეგი მშენებლობა“ პნ 01.01-09) სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით, ქ. ბათუმი მიეკუთვნება 7-ბალიან სეისმიურობის ზონას, ხოლო დაპროექტების ნორმების („სამშენებლო კლიმატოლოგია“ პნ 01.05-08) მიხედვით ქ. ბათუმისათვის (ხელვაჩაური) თოვლის საფარის წონაა 0.50 კპა, ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა კი 0,38 კპა.

**შენობის მოკლე აღწერა და კონსტრუქციული ანალიზი**

შენობა 3 მაღლია (მაღლის სიგრძეები 17.31, 17.96 და 29.27 მ), გეგმაში აქვს მართკუთხედის ფორმა, ზომებით: 64.54X154.92 მ (დერძებში) და სიმაღლით 9.0 მ (საერთო ფართი 10351.40 მ<sup>2</sup>), წარმოდგენილია ერთმანეთისაგან დეფორმაციული ნაკერებით გამოყოფილი, ასევე გეგმაში მართკუთხედის ფორმის ნაწილებისაგან და აშენებულია გასული საუკუნის 70-იან წლებში.





როგორც საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მასალებიდან და შურფების გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილებიდან ირკვევა, შენობის ქვეშ მოწყობილია მიწის მოშანდაკების ნიშნულიდან 1.70 მ-ზე ჩაღრმავებული, 3.75X3.75 მ (განაპირა მალეში) და 4.15X4.15 (შუა მალეში) ზომებისა და 1.10 მ სისქის ანაკრები რკინაბეტონის წერტილოვანი საძირკვლები, რომლებიც თავის მხრივ ეფუძნებიან 10 სმ სისქის ბეტონის მოსამზადებელ ფეხასა და მაღალი მზიდუნარიანობის კენჭნარებს, კაჭარის ჩახართებით 10%-მდე, სრეშის შემავსებლით 30%-მდე და სხვადასხვამარცვლოვანი ქვიშის შემავსებლით 20%-მდე, პირობითი საანგარიშო წინაღობით  $R_0=600$  კპა.

კონსტრუქციული თვალსაზრისით არსებული შენობა კარკასულია, მისი მზიდი კონსტრუქცია წარმოდგენილია ანაკრები რკინაბეტონის სვეტებისა და კოჭების შემცველი ჩარჩო-კაეშირებიანი სივრცითი კარკასის სახით (გადახურვის პანელების გარეშე).


ანაკრები რკინაბეტონის სვეტები მოწყობილია გამჭოლკედლიანი კვეთის და მათი ზომები მიღებულია 140X50 სმ (განაპირა მალეში) და 192X62 სმ (შუა მალეში).

სვეტებისათვის გრძივ მუშა არმატურად გამოყენებულია Ø28 A-III, Ø25 A-III და Ø20 A-III კლასის ღეროები, ხოლო საკიდებად Ø8A-I კლასის არმატურები. გამოყენებულია ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით, კლასით B 22.5.

შენობის განთავსების ტერიტორიაზე კვლევის მომენტისათვის დაფიქსირდა ხიდურა ამწეების სავალი ანაკრები რკინაბეტონის წინასწარდაძებული კოჭების დამტვრეული ნარჩენები, რომელთა შესწავლისა და ანალიზით გაირკვა, რომ ანაკრები რკინაბეტონის წინასწარდაძებული ხიდურა ამწეების სავალი კოჭების კვეთის ზომები 50X145 სმ-ია და ისინი დაარმირებულია: ზედა შრეში Ø25 A-III არმატურებით, ქვედა შრის არმირებისათვის კი გამოყენებულია მაგთულებისაგან შედგენილი და 3 რიგად განლაგებული წინასწარდაძებული 15 ცალი ბაგირი და Ø8A-I საკიდები. (იხ. ფოტოები).


გაირკვა ასევე, რომ რკინაბეტონის რიგელებში გამოყენებული ბეტონის კლასი მიღებულია B 25.







დღეის მდგომარეობით ერთერთ განაპირა მალში ფუნქციონირებს 25 ტ  
ტვირთამწვობის მქონე ხიდურა ამწე, შუა და მეორე განაპირა მალში კი ამწეები  
შევე დემონტირებულია.




კვლევის პირველ ეტაპზე (2018 წლის 16 აგვისტო), ჩატარდა აზომვები  
საკვლევი ობიექტის ყველა ხიდულ სამუშაოებზე, ხოლო ფარული და კის  
სამუშაოები, რომელთა აზომვებიც ვერ მოხერხდა, გათვალისწინებული იქნა  
დამკვეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად.

გახსნილი იქნა წერტილოვანი საძირკვლების (შერჩევით), სვეტებისა და  
გადახურვის კოჭების ფრაგმენტები და შემოწმდა მათი შეერთების კვანძები და  
დაფიქსირდა შემდეგი:



საქართველო ლეიტენანტის ნიჭიერების



— 1980年6月26日 星期日 晴

[illegible]
$$L_1(L_2(\mathbb{R}^n)) \cong L_1(\mathbb{R}^n) \otimes L_2(\mathbb{R}^n) \cong L_1(\mathbb{R}^n) \otimes L_2(\mathbb{R}^n)$$

2017年12月20日 星期三 12:00

[illegible]

ცაღკეული სვეტების ქვეშ მოწობილი ანაკრები რკინაბეტონის ყველა წერტილოვანი საძირკვლებისა და გადახურვის კოჭების დიდი ნაწილის საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია; ნორმალური სიტუაციაა ასევე სვეტების წერტილოვან საძირკვლებთან და გადახურვის კოჭებთან შეერთების კვანძების შემთხვევაშიც, მაგრამ ზოგიერთი გადახურვის კოჭის ქვედა შრეში განივი არმატურები გამოსულია ბეტონის დამცავი ფენის ფარგლებიდან და თაროების ბეტონის ნაწილები დაზიანებულია.



სვეტების ნაწილის გრძივი მუშა და განივი არმატურები გაშიშვლებული და კოროზირებულია, გამოსულია ბეტონის დამცავი შრის ფარგლებიდან და მათი დაზიანებების ხარისხის მისედვით გვაქვს შემდეგი 3 ტიპის სვეტები:

შედარებით კარგ მდგომარეობაში მყოფი სვეტები (№2; 3; 6; 7; 10; 13; 14; 15; 20; 22; 23; 24; 30; 31; 32; 33; 34; 36; 39; 40; 41; 45; 48; 49; 50; 51; 56; 58; 60; 62);

მცირე დაზიანების მქონე სვეტები (№1; 4; 5; 8; 9; 11; 12; 16; 17; 18; 19; 21; 25; 26; 27; 28; 29; 35; 37; 38; 42; 43; 47; 52; 53; 54; 55; 57; 59; 61; 63; 64);

საშუალო დაზიანების მქონე სვეტები (№44; 46).



ჩატარდა საკვლევი ობიექტის საკონტროლო გადაანგარიშებები სტატიკურ და დინამიურ (სეისმიურ) დატვირთვებზე, კვლევის დროს დაფიქსირებული მზიდი ელემენტების (საძირკვლები, სვეტები და გადახურვის კოჭები) რეალური კვეთების, მათში გამოყენებული მასალების (ბეტონი და არმატურა) კლასების და სიმტკიცისა და სიხისტის მახასიათებლების გათვალისწინებით.

საკონტროლო გადაანგარიშებები ჩატარდა კომპლექსური კომპიუტერული პროგრამის („ЛИРА-9.6“) გამოყენებით და მასში გათვალისწინებული იქნა მუდმივი, დროებითი ხახგრძლივი, დროებითი ხანმოკლე ვერტიკალური დატვირთვები, ქარისა და 7 ბაღის შესაბამისი სეისმიური ზემოქმედება ს და ყ მიმართულებით და მოქმედი ყველა დატვირთვის შესაბამისი საანგარიშო ძაღვების თანწვობები, ყველა სასრული ელემენტისათვის აგებული იქნა გადაადგილებათა, ძაღვათა და ძაბვათა მოზაიკა და გაანგარიშებებით




მიღებული დამატულ-დეფორმირებული მდგომარეობის დეტალური ანალიზის საფუძველზე შერჩეული კვლევის ზომები, შედარდა საჭირო მონაცემებს.

ბეტონის ვარგისიანობა ელემენტების გასინჯულ იქნა შმიდტის მექანიკური ჩაქუნისა და ИТС-МГ-4.03 მარკის ელექტრომზომის გამოყენებით, ბეტონის კლასი კი დადგინდა სიმტკიცის განმსაზღვრელი მოწყობილობის, **Elkometer 181**-ის გამოყენებით, რომლის მუშაობის პრინციპიც დაჩყარებულია გამოსაკვლევი 'ხედაპირიდან „ინდენტორი“-ს დრეკადი ასხლეტვის მეთოდზე. მასზე მუდმივი ენერგიით 'ხემაქმედებისას და იგი საზღვრავს კუბური ფორმისა და 15X15X15 სმ ზომების ნიმუშების სიმტკიცეს, 10-65 ნ/მმ<sup>2</sup> დიაპაზონში, ანათვლების 15-20%-ის ცდომილებით, **B20 - B30** კლასის ბეტონისათვის.

მასალების სიმტკიცის კონტროლი ჩატარდა **ГОСТ-22690-80**-ის, **ГОСТ-1018-90**-ის, **ГОСТ-1018-2000**-ისა და **ГОСТ-18105-86**-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

ჩაქუნის შეკალაზე აღებული ანათვლები იძლევა სიმტკიცის მანვენებლებს ნ/მმ<sup>2</sup>-ში; მათი სტატიკური დამუშავებით განისაზღვრება სიმტკიცის საშუალო კვადრატული გადახრა, გამოითვლება შესაბამისი ვარიაციის კოეფიციენტი და ისაზღვრება ბეტონის სიმტკიცის ჩორმირებული მნიშვნელობა.





საშუალო სიმტკიცის კვადრატული გადახრა გამოითვლება ფორმულით

$$S = (R-R_i)/(n+1)+S_r/p$$

$S_r$  - საგამოდლო ხელსაწყოთა ტარიერების საშუალო კვადრატული გადახრაა,

$n$  - პარტიაში ცალკეული შედეგების საერთო რაოდენობა;

$p$  - რკინაბეტონის კონსტრუქციაში საკონტროლო უბნების რაოდენობა.

ბეტონის სიმტკიცის საშუალო ვარიაციის კოეფიციენტი, პროცენტულად

$$V_a = S/R \cdot 100\%$$

საბოლოოდ ბეტონის სიმტკიცის ნორმირებული მნიშვნელობა, ანუ ბეტონის სიმტკიცე მარკიანობის მიხედვით

$$R \text{ ნორმირებული} = R/K_{\text{საჭ}} \cdot 100$$

$K_{\text{საჭ}}$ -საჭირო სიმტკიცის კოეფიციენტია, %-ებში, აიღება ГОСТ -18105-86-ის IV დანართის ცხრილიდან და ჩვენს შემთხვევაში  $K_{\text{საჭ}}=88.2$ .

გაირკვა, რომ ყველა შემოწმებული კონსტრუქციული ელემენტის კვეთები და მათში გამოყენებული მასალების ძირითადი მახასიათებლები (ბეტონის დამცავი ფენის სისქე და კლასი, არმატურის ღეროების რაოდენობა, დიამეტრი და კლასი) ნორმის ფარგლებშია.

არსებული შენობის საძირკვლებზე, სვეტებზე და გადახურვის კოჭებზე არ აღინიშნება ისეთი სახის დაზიანებები და დეფექტები, რაც საეჭვოს გახდის შენობის სიმტკიცეს და საერთო მდგრადობას. ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №302-ში (საკად. კოდი: 05.35.28.110), შპს „ბათუმის სახლმშენებელი კომბინატი“-ს არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობის კვლევის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ შენობის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, შენობას ნორმალურად აქვს გადატანილი მასზე დღემდე მოქმედი სტატიკური და დინამიკური (ხილურა აძწის) ზემოქმედებები, მაგრამ კვლევის დროს გამოვლენილი დაზიანებებისა და დეფექტების შექმდოში გახვითარების გამოვრიცხვისა და მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით გადაუდებელ ღონისძიებად მიგვაჩნია:

#### დასკვნა:

ვიზუალური დათვალიერების, ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის, დატვირთვების განმეორებითი გადათვლებისა და გადაანგარიშების, კვლევის შედეგების დამუშავებით მიღებული საერთო მდგომარეობის გაცნობისა და ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ საკვლევი შენობის საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მის წერტილოვან საძირკვლებზე, სვეტებზე და გადახურვის კოჭებზე არ შეინიშნება ისეთი სახის დაზიანებები და



დეფექტები, რაც საეჭვოს გახდის მის საერთო მდგრადობას და სიმტკიცეს და მისი აღდგენა-რეაბილიტაციის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ეთვლით, რომ ქ. ბათუმში, ფრ. ხალვაშის გამზირი №302-ში (ს. კოდი: 05.35.28.110), შპს „ბათუმის სახლმშენებელი კომბინატი“-ს არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობა საშუალებას იძლევა განხორციელდეს მისი სათანადო აღდგენა-რეაბილიტაცია, შესაბამისი პროექტის მიხედვით, ხოლო კოჭებზე განთავსდეს ლითონის გადახურვის ფერმები იმ პირობით, რომ გათვალისწინებული იქნება დაზიანებული ელემენტების ზონების სათანადო გამაგრება-გაძლიერება და კვლევის დროს დაფიქსირებული ყველა დეფექტი და მათი აღმოფხვრის გზები, კერძოდ:

1. მოწესრიგდეს შენობის გარშემო და მის სიახლოვეს გამაგალი ყველა წყალშემცავი კომუნიკაცია;
2. შემონაკირწყელი შენობის მთელ პერიმეტრზე არ არის მოწყობილი, რაც ხელს უწყობს ფუძეებსა და საძირკვლებში ზედაპირული წყლების ჩადინებასა და მათ გაწყლიანებასა და დასუსტებას, რისთვისაც შენობის გარშემო მოეწყოს ახალი შემონაკირწყელი, რათა სრულად გამოირიცხოს ატმოსფერული ნალექების შეღწევა შენობაში.
3. ჩამოიფხიკოს სვეტებისა და კოჭების დაზიანებული ზონებიდან ბეტონის უხარისხო ზედაპირები, გასუფთავდეს არმატურის დეროები ლითონის ჯაგრისითა და ზუმფარით, დაიფაროს ანტიკოროზიული ხსნარით და დატანილ იქნას ბეტონის ახალი შრე;
4. სვეტების ზედაპირებზე ცალკეული ბზარები ინექცირებულ იქნას პოლიმერცემენტის ხსნარით;
5. სარეაბილიტაციო სამუშაოების მსვლელობისას სვეტებისა და საყდგენი კოჭების ბეტონის ქვეს ძლიერ კოროზირებული არმტურების აღმოჩენის შემთხვევაში, შეიცვალოს ისინი ახლით;
6. სიმტკიცისა და საერთო მდგრადობის დამატებითი უზრუნველყოფის მიზნით, დიდი მალის ფარგლებში ჩაემატოს კოლონების ახალი რიგი.

ექსპერტი:

პროფესორი, საქართველოს  
დამსახურებული მშენებელი



/რევაზ კახიძე/

## საექსპერტო დასკვნა

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №302-ში, არსებული  
ღია შენობის საწყობის შენობად რეკონსტრუქციის  
პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ქ. ბათუმი

30 აგვისტო 2018 წ

დამკვეთი: შპს „ბათუმის სახლმშენებელი კომბინატი“, ს/კ: №248385616

საპროექტო ორგანიზაცია: შპს „არმარი“

**ექსპერტიზის მიზანი:** დადგინდეს პროექტში მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტების მართებულობა და შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა ქვეყანაში მოქმედ სახელმწიფო სტანდარტებთან, სამშენებლო ნორმებთან და წესებთან.

საექსპერტოდ წარმოდგენილია ქ. ბათუმში, ფრ. ხალვაშის გამზირი №302-ში (საკ. კოდი: 05.35.28.110), შპს „ბათუმის სახლმშენებელი კომბინატი“-ს არსებული ღია შენობის საწყობის შენობად რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, მზიდი კონსტრუქციების ანგარიშის სრული პაკეტი და ანალიზი, განმარტებითი ბარათი და ადგილის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა.

სარეკონსტრუქციო შენობა მდებარეობს ქ. ბათუმის სამხრეთ ნაწილში, ხელვაჩაურის დასახლებაში, ფრიდონ ხალვაშის გამზირზე, გეომორფოლოგიური თეალსაზრისით მდინარე ჭოროხის მოქმედებით შექმნილი აკუმულაციური ტიპის რელიეფისა და 65334.0 მ<sup>2</sup> ფართის მქონე ტერიტორიაზე, რომლის გეოლოგიურ აგებულებაშიც მონაწილეობენ მეოთხეული ასაკის ალუვიურ-პროლუვიური გენეზისის ქვიშოვანი და კენჭნარ-ხრეშოვანი გრუნტები, კლიმატური კი ადგილი მიეკუთვნება საშუალოდ თბილ და ტენიან ზონას ცხელი ზაფხულით, ჭარბი ტენიანობითა და საკმაო რაოდენობის ნალექებით წლის ყოველ სეზონში.

სამშენებლო ნორმებისა და წესების („სეისმომედეგი მშენებლობა“ პნ 01.01-09) სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით, ქ. ბათუმი მიეკუთვნება 7-ბალიან სეისმიურობის ზონას, ხოლო დაპროექტების ნორმების („სამშენებლო კლიმატოლოგია“ პნ 01.05-08) მიხედვით ქ. ბათუმისათვის (ხელვაჩაური) თოვლის საფარის წონაა 0.50 კპა, ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა კი 0.38 კპა. .

**პროექტის კონსტრუქციული ნაწილის აღწერა და ექსპერტის შეფასება**

არსებული ღია შენობა 3 მაღლიანია, აზომვითი ნახაზის მიხედვით მაღლის სიგრძეებით: 17.31 მ, 17.96 მ და 29.27 მ, გეგმაში აქვს მართკუთხედის ფორმა, ზომებით: 64.54X154.92 მ (დერძებში) და სიმაღლით 9.0 მ (საერთო ფართი 10351.40 მ<sup>2</sup>), წარმოდგენილია ერთმანეთისაგან დეფორმაციული ნაკერებით გამოყოფილი,



გეგმაში მართკუთხა ფორმის ნაწილებისაგან და ეყრდნობა მიწის ზედაპირიდან 1.70 მ-ზე ჩადრმავებულ, 3.75X3.75 მ (განაპირა მალეებში) და 4.15X4.15 მ (შუა მალეებში) ზომებისა და 1.10 მ სისქის, ანაკრები რკინაბეტონის წერტილოვან საძირკველებს, რომლებიც თავის მხრივ ეფუძნებიან 10 სმ სისქის ბეტონის მოსამზადებელ ფენას და მაღალი მსიფუნარიანობის მქონე კენჭნარებს, კაჭარის ჩანართებით 10%-მდე, ხრეშის შემავსებლით 30%-მდე და ქვიშის შემავსებლით 20%-მდე, პირობითი საანგარიშო წინააღობით  $R_0=600$  კპა.

კონსტრუქციული თვალსაზრისით არსებული შენობა კარკასულია, მისი მზიდი კონსტრუქცია წარმოდგენილია ანაკრები რკინაბეტონის სვეტებისა და ამწისქვეშა კოჭების შემცველი ჩარჩო-კავშირებიანი სივრცითი კარკასის სახით.

ანაკრები რკინაბეტონის სვეტები მოწყობილია გამჭოლკედლიანი კვეთის და მათი ზომებია 140X50 სმ (განაპირა მალეებში) და 192X62 სმ (შუა მალეებში).

რეკონსტრუქციის პროექტით განხორციელებულია არსებული ღია შენობის საწყობის შენობად გადაკეთება, წარმოდგენილია, შესაბამისად, 6 და 5 სექციად დაყოფილი „ა“ და „ბ“ ბლოკის სახით (საერთო სიმაღლით 13.70 მ) და მათი გადახურვა, რომელთა კონსტრუქციული ელემენტებია არსებულ რკინაბეტონის სვეტებზე დაყრდნობილი ტრაპეციული მოსაზულობის ლითონის ფერმები და მათზე განლაგებული გრძივები. ურულად კი გათვალისწინებულია 10 მმ სისქის ლითონის პროფილირებული ფურცლები.

გადახურვის სანივნივე ფერმები: F-1 (მალით 16.30 მ + 1.30 მ კონსოლით), F-2 (მალით 16.41 მ), F-3 (მალით 13.99 მ) და F-4 (მალით 14.01 მ + 1.30 მ კონსოლით) მზადდება მილკვადრატებისაგან (ლითონის მარკა C245) და მათი ქვედა და ზედა სარტყელებისათვის გამოყენებულია 100X5 მმ პროფილის მქონე გაწყვილებული მილკვადრატები, ირიბანებისა და დგარების ელემენტები კი შესრულებულია 80X4 მმ და 90X4 მმ პროფილის გაწყვილებული მილკვადრატებისაგან.

სანივნივე ფერმების არსებულ ამწქვეშა კოჭებზე დაყრდნობის ადგილებში, ამწქვეშა კოჭების ტანში, ეწყობა 25 მმ დიამეტრის და 25 სმ სიღრმის ხვრელები, რომელშიც უხდა გატარდეს 20 მმ დიამეტრის ანაკრები და დაუკავშირდეს ფერმების საყრდენი ელემენტებს ორკომპონენტიანი ქიმიური საანკერე წყაოთი.

სახურავის კონსტრუქციული მდგრადობისათვის გათვალისწინებულია პორიზონტალური და ევრტიკალური კავშირების მოწყობა, შესაბამისად 60X4 მმ და 150X5 მმ პროფილის მილკვადრატებისაგან.

შეხობის ერთერთი განაპირა მალი (სიგრძე 28.0 მ), ამწისქვეშა კოჭებზე მოსული დატვირთვების შემცირების მიზნით, გაყოფილია 2 (14.0+14.0 მ სიგრძის)



ნაწილად, რის გამოც, დამატებით მოწყობილია ლითონის სვეტები 22X50 სმ კვეთის, 2 №22 პროფილის გაწვილებული შევლერებისაგან, რომლებიც უკავშერდებიან -1.70 ნიშნულზე ჩაღრმავებულ, 2.10X2.10 და 2.10X1.70 მ ზომებისა და 40 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის წერტილოვან საძირკვლებს.

შენობის გარე კედლები ეწყობა 20 სმ სისქის ბეტონის წვრილი საკედლე ბლოკებით, რომელთა კონსტრუქციული მდგრადობისათვის გათვალისწინებულია ლითონის 220X5 მმ პროფილის მიდკადრატებისა და №22 პროფილის შევლერებისაგან შედგენილი და სახურავის კონსტრუქციებზე დამაგრებული ფახვერკის კოლონების მოწყობა.

კედლებისა და ფახვერკის კოლონების ქვეშ კი ეწყობა 50X70 სმ კვეთის მონოლითური რკინაბეტონის ღენტური საძირკვლები.

შენობის დიდი სიმაღლის გამო, კედლების წყობაში, ყოველ 2.80 მ სიმაღლეზე გათვალისწინებულია 20X20 სმ კვეთის მონოლითური რკინაბეტონის ანტისეისმიური სარტყელების მოწყობა, რომელთა გრძივი არმატურები უნდა მიდუღდეს ლითონის ფახვერკის კოლონებთან. წყობის ყოველ მესამე რიგში, ლითონის ფახვერკის სვეტებს შორის კი გათვალისწინებულია ბრტყელი შედუღებული ბადეების მოწყობა, 8 მმ დიამეტრის A-III კლასის არმატურისაგან, რომლის ბოლოებიც, შედუღებით უკავშირდებიან ლითონის ფახვერკის სვეტებს.

განივი მიმართულებით ფერმებზე (ბიჯი: 126-165 სმ) მოწყობილია ლითონის გრძივები №16 პროფილის შევლერებისაგან, რომლებზეც ეწყობა მცირექანობიანი სახურავი ლითონის პროფილირებული ფურცლების ბურუნლისაგან.

პროექტში მოყვანილია მონოლითური რკინაბეტონის წერტილოვანი და ღენტური საძირკვლების არმირების ნახაზები, ასევე ლითონის სვეტებისა და ფერმების გეომეტრიული და სამონტაჟო სქემები, ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების ერთმანეთთან შეერთებისა და ჩაანკერების, გრძივების ფერმებზე დამაგრებისარმატურების შევრილებისა და ურთიერთშენაცვლებითი გადაბმის, ფახვერკის სვეტებს შორის კედლისა და ანტისეისმიური ქაძარ-სარტყელების მოწყობის სქემები, განივი, და სამონტაჟო არმატურების, ზღუდარებისა და სახურავის მოწყობის კვანძები და დეტალები.

წარმოდგენილი მასალების სპეციფიკაციები, რომელშიც მითითებულია ელემენტებში გამოყენებული მასალების კლასები და სახ. სტანდარტის ნომერი.

ნახაზები შესრულებულია დეტალურად და გარკვევით, მათზე მოყვანილია ყველა საჭირო მითითებები და განმარტებები და აღნიშნულია ასევე  $\pm 0.00$ -ის შესაბამისი აბსოლუტური ნიშნულით (18.00).



პროექტის განხილვისას გავეცანი ყველა მასალას და აღვნიშნავ, რომ მისი კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია არქიტექტურული პროექტისა და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მასალებისა და არსებული ღია შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ განხორციელებული კვლევის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების მიხედვით; მასში მიღებული გეგმარებითი და კონსტრუქციული გადაწყვეტები პასუხობს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებსა და სახელმწიფო სტანდარტებს და მის მიმართ რაიმე განსაკუთრებული სახის შენიშვნები არ გამოვლენილა.

#### დასკვნა:

